საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№605 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №626 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №626 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/12/2014, 010220000.10.003.018257) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის „ქ[1]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
2. მე-2 მუხლის „ჰ[2]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ე) კომუნიკაციის დეპარტამენტი;“.

4. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
5. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ნ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ნ) საგარეო ურთიერთობების კოორდინაციის სამსახური.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 31 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**